გიორგი ჯავახიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამხედრო საბჭოს საქმიანობა 1919-1920 წლებში საბჭოს სხდომების ოქმების მიხედვით (საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული მასალა)

1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და დაიწყო ახალი საინტერესო ეტაპი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თითქმის საუკუნეზე მეტხანს იყო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, 1918-1921 წლებში აქ ჩამოყალიბდა პოლიტიკური ინსტიტუტები, შეიქმნა ჯარი და პოლიცია; სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება კი ერთმანეთს გაემიჯნა და დემოკრატიული პრინციპებით დაიწყო მუშაობა.

საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიას, რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოების მთავარი მექანიზმი იყო. ეროვნული არქივის სტუდენტური პროექტის ფარგლებში ჩემი სამუშაო თემა სამხედრო საბჭოს სხდომების ოქმების კვლევა იყო. სამხედრო საბჭო 1919 წლის ივნისში დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა. მას ევალებოდა არმიასა და სახალხო გვარდიაში არა მარტო არსებული პრობლემების შესწავლა, არამედ მათი აღმოფხვრის გზებზე მუშაობა.

ეროვნულ არქივში სამხედრო საბჭოს 74 ოქმია დაცული, რომლებიც ინფორმაციას გვაძლევს სამხედრო საბჭოს მუშაობის სპეციფიკის, იმდროინდელი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის საშუალებების შესახებ.

საქართველოს სამხედრო საბჭო, რომელიც არსებობდა 1919-1920 წლებში, 1919 წლის ივნისში შექმნა დამფუძნებელმა კრებამ. სამხედრო საბჭო შედგებოდა 6 წევრისგან: „სამი ლაშქრიდან და სამიც სახალხო გვარდიიდან პარიტეტულ ნიადაგზე“[1]. სამხედრო საბჭოს წევრებად დაინიშნენ გენერლები: ი. ოდიშელიძე, გენერალი ქუთათელაძე და ერისთავი, ხოლო სახალხო გვარდიიდან გ. მახარაძე, ი. ქარცივაძე და ვ. ჯიბლაძე, მათ მოადგილეებად კი რ. აუშტროვი და დ. ჭიაბრიშვილი[2]. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ სამხედრო მინისტრი დაინიშნა, ეს თანამდებობა კი იმ დროს

[1] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 1, ფურც.1.
[2] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 1, ფურც.1.

ნოე რამიშვილს ეკავა, ხოლო მისი მოადგილის პოსტი გენერალმა ილია ოდიშელიძემ შეითავსა. სამხედრო საბჭოს განაწესის თანახმად, ისინი იკრიბებოდნენ კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკევობით. საბჭოს შეხვედრის დროდ შუადღის 2 საათი დაინიშნა. სამხედრო საბჭოს განაწესის შესახებ საუბარია 1919 წლის 5 აგვისტოს შეხვედრაზეც, რომელზეც დაადგინეს:

"1. სამხედრო საბჭოს კვორუმისთვის საჭიროა თავმჯდომარე და საბჭოს 3 წევრის (რომელთაგან ერთი იქნება გვარდიის წარმომადგენელი) დასწრება, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას გახსნის გენ. ოდიშელიძე.
2. საბჭო იკრიბება კვირაში ორჯერ: ორშაბათობითა და ხუთშაბათობით, დილის 8 საათზე.
3. საგანგებო სხდომა ინიშნება მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ სცნობს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე ან საბჭოს ორი წევრი.
4. დადგენილების სისრულეში მოყვანა და მათი განხორციელებისთვის თვალყურის დევნება ევალება პრეზიდიუმს, რომელშიც შედიან თავმჯდომარის მოადგილე გენერალი ოდიშელიძე, სახალხო გვარდიის ერთი წარმომადგენელი და საბჭოს საქმის მწარმოებელი[3].

სამხედრო საბჭოს სხდომის პირველი ოქმი თარიღდება 1919 წლის 2 ივნისით. დოკუმენტის პირველ ნაწილში საუბარია სამხედრო საბჭოს სტრუქტურასა და მის შემადგენლობაზე, ხოლო მეორე ნაწილში – 1919 წლის ივნისს რა სიტუაციაა საზღვრის დაცვის მიმართულებით. ამ კრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება:

„დაევალოს გენერალური შტაბის განყოფილებას, შეიმუშავოს დაცვის გეგმა, რომელშიაც მიექცეს უმთავრესი ყურადღება დარიალის ხეობას და ონის რაიონს მამისონის უღელტეხილით.

ყაზბეგის რაიონის დაცვა ევალება მოსაზღვრე ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ სრესელს, ონისა – პოლკოვნიკ ინწკირველს.

ჯარები, როგორც ლაშქარი, აგრეთვე სახალხო გვარდია ამ ადგილებში ემორჩილებიან თვითოულს მათგანს, როგორც უმთავრეს სამხედრო უფროსებს. ორივე რაიონების დასაცავად უფროსებმა მიიღონ ყველა ზომები, რათა მიიზიდონ ადგილობრივი მცხოვრებნი და გამოიყენონ ისინი როგორც სამომარ მასად, ისე სხვა სამხედრო საჭიროებისთვის"[4].

როგორც ჩანს, 1919 წლის ივნისში ქართული სამხედრო და პოლიტიკური ელიტა გრძნობდა ჩრდ. კავკასიიდან, გენერალ დენიკინის ძალებიდან, მომდინარე საფრთხეს და ცდილობდა საზღვრის ეს მონაკვეთი სათანადოდ გაემაგრებინა, დაეცვა როგორც

[3] სცსა ,ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 14, ფურც.1.
[4]სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე1, ფურც.1-2.

არმიისა და სახალხო გვარდიის ნაწილებით, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით. ეს მნიშვნელოვანი და სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან ასე მოსახლეობაში არმიისა და სახალხო გვარდიისადმი ნდობა გაიზრდებოდა და ასევე ხელს შეუწყობდა ეროვნულ კონსოლიდაციას.

1919 წლის ივნისის დასაწყისში დარიალის ხეობაში გაიგზავნა საარტილერიო დანაყოფი, ხოლო 1919 წლის 4 ივლისით დათარიღებული ოქმიდან (N10) ვიგებთ, რომ , სამხედრო საბჭო პოლკოვნიკ სრესელის რაზმიდან ითხოვს 8 გამოცდილ ოფიცერს, რომლებსაც არტილერიაში სამსახურის გამოცდილება აქვთ: ,,გაიგზავნონ დარიალის ხეობაში და დაეხმარონ ჯარს პოზიციების გამაგრებაში“[5]. ყაზბეგის მიდამოების გამაგრებას ეხება ასევე ოქმი N11. მასში საუბარია, რომ საფორტიფიკაციო სამუშაოებისთვის გაიგზავნოს მესანგრეთა (საპიორთა) გუნდი ოფიცერ წაქაძის მეთაურობით, ასევე – პოლკოვნიკი თაყაიშვილი, რომელიც შეიმუშავებს ყაზბეგის რაიონის გამაგრების გეგმას და ხელმძღვანელობას გაუწევს საპიორთა გუნდს მუშაობის დროს[6]. სამხედრო საბჭო აქტიურად ადევნებდა თვალს საზღვრისპირა რეგიონებს და 1919 წლის 5 აგვისტოს სხდომაზე დაისვა საკითხი, რომ პოლკოვნიკ თაყაიშვილს გაეკეთებინა მოხსენება თრუსოსა და დარიალის ხეობის და იქ განლაგებული სიმაგრეების მდგომარეობის შესახებ[7]. 1919 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე სამხედრო საბჭომ მოისმინა დარიალისა და თრუსოს ხეობის შესახებ ცნობები და დაადგინა, რომ ასაფეთქებლად მომზადდეს როგორც დარიალის, ისე გველეთის ხიდები და გაგრძელდეს გამაგრებული წერტილების აგება. ამ საქმეში დასახმარებლად კი მიმართონ შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა მან ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის სამუშაოებში ჩართვას[8]. ყაზბეგის მიმართულებას ეხება ასევე 1919 წლის 28 აგვისტოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყაზბეგის შემოგარენში არსებული საველე ზარბაზნები უნდა ჩანაცვლდეს სამთო ქვემეხებით[9]. ამავე სხდომაზე დაისვა საკითხი არმიის მობილიზაციის შესახებ: გენერალურ შტაბს უნდა შეემუშავებინა მობილიზაციის გეგმა და აღერიცხა ის მოქალაქეები, რომელთაც სამხედრო გაწვევა შეეხებოდათ[10]. სამხედრო საბჭომ ასევე ყურადღება გაამახვილა აზერბაიჯანის საკითხზე. ეს უკანასკნელი 1919 წლის ზაფხულისთვის კავკასიის რეგიონში მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებში მოექცა; კრებამ დაადგინა, რომ

[5] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 10, ფურც.1-2.
[6] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 11, ფურც.1-2.
[7] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 14, ფურც.1-2.
[8] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 15, ფურც.1-2.
[9] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 18, ფურც.1-2.
[10]სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 1, ფურც.1-2.

„სასურველია გამოყოფილ იქნას პატარა სამხედრო ნაწილი აზერბაიჯანის ჯარის საშველად სამივე დარგის იარაღიდან“[11].

სამხედრო საბჭოს მომდევნო კრება გაიმართა 1919 წლის 3 ივნისს. კრებას უძღვებოდა გენ. ოდიშელიძე, მას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები: გენ. ქუთათელაძე, ქარცივაძე, მახარაძე და აუშტროვი; ასევე – სამხედრო მინისტრის თანაშემწე ა. გედევანიშვილი და გენერალური შტაბის უფროსი ა. ანდრონიკაშვილი. კრებაზე დაისვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი, კერძოდ სასროლი მასალებითა და იარაღით დაკმაყოფილების შესახებ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ გავრცელებული მცდარი ინფორმაციით, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი თითქოს 1918-1921 წლების საქართველოში არსებობდა იარაღის საკმაოდ დიდი მარაგი, რომელიც ვერ გამოიყენეს 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ქართული სახელმწიფო ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ საბჭოთა რუსეთის ჯარს. სამხედრო საბჭომ N2 ოქმის მესამე პუნქტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ზემოხსენებულ საკითხს, დაადგინა: „შეიძინონ ვაზნები ყიდვით და მასთან ერთად გაძლიერებულ მუშაობით ვაზნების მომზადებისა არსენალში, რისთვისაც მოეთხოვოს მთავრობას საჭირო კრედიტი“[12]. მსგავსი საკითხი ასევე დაისვა 1919 წლის 25 ივნისს სამხედრო საბჭოს მე-8 შეხვედრისას ოქმში N8, რომელიც ამ შეკრების დეტალებს აღწერს. მასში ვკითხულობთ, რომ სამხედრო საბჭო „სცნობს ყურადღება მიექცეს ვაზნების დაზოგვასა და ეკონომიურ გამოყენებას, ასევე მათ ჯეროვან შენახვას მისი სიმცირიდან გამომდინარე“. ამ საკითხის ხელმძღვანელობა დაევალა გენ. ქუთათელაძეს[13].

ჯარში იარაღის კონტროლს ეხება ასევე N12 ოქმი, რომელშიც განხილულია 1919 წლის 24 ივლისის სხდომის დადგენილება. დადგენილებაში წერია: გენ. ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილი დებულება მიიღონ სახელმძღვანელოდ ინსპექციის მომწყობისთვის და „მასთან ერთად დაევალოს საბჭოს წევრ გენ. ქუთათელაძეს, როგორც სპეციალისტს, ინსპექტორობა ჯარისა და გვარდიისა, ხოლო გვარდიისა _ ერთ -ერთის სახალხო გვარდიის წარმომადგენლის თანაშემწეობით“[14]. იარაღის საკითხის შესახებ მნიშვნელოვანია ასევე 1919 წლის 30 ოქტომბრის განკარგულება, რომლის მიხედვითაც მოქალაქეებს უნდა ჩამორთმეოდათ უკანონო იარაღი და ვაზნები, ხოლო ჩამორთმეული იარაღი და საბრძოლო მასალა გადასცემოდა საარტილერიო საწყობს[15]. გარდა ამისა, იარაღის საკითხს ეხება 1919 წლის 18 დეკემბრის დადგენილებაც, რომლის თანახმადაც საბჭო მთავრობისგან ითხოვს 25

[11] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 1, ფურც.1-2.
[12] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 2, ფურც.1-2.
[13] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 8, ფურც.1-2.
[14] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 12, ფურც.1-2.
[15] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 36, ფურც.1-2.

მილიონ მანეთს იარაღისა და საბრძოლო მასალის შესაძენად და შესაკეთებლად, ხოლო, სანამ ეს თანხა ჩაირიცხებოდა, უნდა მიეღოთ დამატებით ერთი მილიონი მანეთი, რათა იარაღის შეკეთება დაეწყოთ[16]. იარაღის შეკეთების შესახებაა საუბარი ასევე 1920 წლის 5 იანვრის სხდომაზე, რომელზეც ითქვა დამატებითი თანხების მოძიების თაობაზე. სამხედრო საბჭომ გაითვალისწინა ამ საკითხის მნიშვნელობა და დაადგინა: შექმნილიყო იარაღის შესაკეთებლად სახელოსნო და თავდაპირველი ხარჯებისთვის გამოყოფილიყო 1.470.000 მანეთი სამხედრო ფონდიდან[17]. იარაღის საკითხს ეხებოდა ასევე 1919 წლის 17 ნოემბრის შეხვედრა, რომელზეც მოისმინეს წინადადება სხვადასხვა დაწესებულებისთვის იარაღის გადაცემის შესახებ. სხდომამ განიხილა წარმოდგენილი პროექტი და დაადგინა:
1. მიეცეს ახალქალაქისა და ახალციხის სამაზრო მილიციებს ას-ასი თოფი „ლებელის“ სისტემის 10 000 ვაზნით, ნაცვლად სამხაზიანი რუსული თოფებისა.
2. N2 ციხის უფროსს - 5 „ლებელის“ თოფი 500 ვაზნით.

3. სამხედრო მინისტრის დარაჯს - 200 ბრაუნინგის ვაზნა.

4. ფულის სანაცვლოდ მიეცეს კოდორის ტყის მცველებს 2000 ბერდანის ვაზნა, გურიის ტყის მცველებს - 5200 ბერდანის ვაზნა და მიწათმოქმედების სამინისტროს - 600 ვაზნა „ლებელის“ სისტემისა.

ოქმი N41, რომელშიც საუბარია იარაღის გაცემის საკითხზე, საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ვიგებთ, თუ რაოდენ მწირი იყო იარაღის მარაგი 1919 წელს საქართველოში და როგორ ეკონომიურად გასცემდა სამხედრო საბჭო არსენალიდან თოფებსა და ვაზნებს, რაც თვალსაჩინოს ხდის იმ დიდ პრობლემას, რომელიც რესპუბლიკას ჰქონდა საბრძოლო მასალებთან დაკავშირებით[18].

სამხედრო საბჭოს მეორე ოქმის მე-4 საკითხი ეხება დაზვერვის საკითხს. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ძლიერი სადაზვერვო სამსახური. საქართველოს 1918-1921 წლებში უამრავი გამოწვევა ჰქონდა და ეს გამოწვევები ქვეყანაში დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნიდა. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი იყო ინფორმაციის დროული მოპოვება და შესაბამისი ზომების მიღება.

სამხედრო საბჭომ დაადგინა, რომ გენერალური შტაბის უფროსმა სასწრაფოდ შეიმუშაოს დაზვერვის ორგანიზაციის დაწვრილებითი გეგმა ყველა ფრონტზე, შეადგინოს ხარჯთაღრიცხვა და შედგენილი დოკუმენტი დაუყოვნებლივ წარადგინოს სამხედრო საბჭოში[19].

---

[16] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 48, ფურც.1-2.
[17] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 52, ფურც.1-2.
[18] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 41, ფურც.1-2.
[19] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 2, ფურც.1-2.

ყურადღებას იპყრობს ასევე 1919 წლის 18 ივნისით დათარიღებული ოქმი N6, რომელშიც ვკითხულობთ პოლკოვნიკ ინწკირველის მოხსენებას; მასში საუბარია ონის რაიონში არსებულ „სუსტ ნიადაგზე“, რომლის გამოყენებასაც აუცილებლად შეეცდებიან ის აგიტატორები, რომლებიც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ. სამხედრო საბჭომ ყურად იღო პოლკოვნიკ ინწკირველის მოხსენება და დაადგინა, რომ საჭიროა იქაურ მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია და კეთილგანწყობის მოპოვება, რისთვისაც უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები, კერძოდ მიწათმოქმედების სამინისტროსთან შეთანხმებით იქ მცხოვრებთ მიეცეთ საშუალება ისარგებლონ ტყითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით[20]. როგორც ჩანს, ქართული სახელმწიფო ცდილობდა სოციალური პოლიტიკითა და რიგი შეღავათებით მოქალაქეები დაერწმუნებინა, რომ მთავრობა მათზე ზრუნავს და არ აჰყვნენ აგიტაციას; ამასთანავე ამ დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უწყებები კოორდინირებულად მოქმედებდა და მათ შორის კავშირის პრობლემა არ არსებობდა; ამის მაგალითი კი არის ის, რომ მიწათმოქმედების სამინისტრო, აგრარულ საკითხებზე მუშაობის გარდა, მზად იყო სამხედრო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ინიციატივით სოციალური პოლიტიკა გაეტარებინა ქვეყანაში დესტაბილიცაზიის თავიდან ასაცილებლად.

ოქმში მე-7 საკითხად გამოტანილია საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობის სამხედრო გზის მონაკვეთის დაცვის საკითხი. ამასთან დაკავშირებით საბჭომ დაადგინა: „შემდგარ იქმნას კომისია სამხედრო უწყების, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლებისგან, რომელმაც შეიმუშავოს დაცვის საკითხი დარიალის ხეობაში“[21].

სამხედრო საბჭო, გარდა სამხედრო საკითხებისა, მიუდგომელ ადგილებში მცხოვრები ხალხისთვის ხშირად სურსათის მიწოდების საქმესაც ითავსებდა. ოქმი N7-ის მიხედვით სამხედრო საბჭო გენ. ყიფშიძესა და საბჭოს წევრ აუშტროვს, რომელიც სახალხო გვარდიას წარმოადგენდა, ავალებს მიიღონ ყველა ზომა, იშოვონ სიმინდი და დაუყოვნებლად მიაწოდონ მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოხევეებს[22]. ანალოგიური სიტუაცია იყო ონის რაიონშიც, სამხედრო საბჭო ოქმში N13 საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აუცილებელია სურსათის გარეშე დარჩენილ მოსახლეობას დაუყოვნებლად მიაწოდონ საკვები, რათა ადგილობრივ მოსახლეობასა და ჯარს შორის სიტუაცია არ დაიძაბოს. სამხედრო საბჭო სახალხო გვარდიას სთხოვს გაგზავნოს ონის რაიონში 600 ფუთი ხორბალი, ხოლო ამ საქმისთვის მთავრობას ეცნობოს, რომ საჭიროა 1. 000 000

[20] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 6, ფურც.1-2.
[21] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 6, ფურც.1-2.
[22] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 7, ფურც.1-2.

მანეთი[23].

სამხედრო საბჭოში ხშირად იხილებოდა პოლიტიკური საკითხებიც. 1919 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე მოისმინეს საკითხი აფხაზური ცხენოსანი დივიზიონის შედგენაზე. ამ დივიზიონს დიდი სამხედრო მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, რადგან ოდნავ თუ შეასუსტებდა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართული ჯგუფების მუშაობას სოხუმის ფრონტზე; ისე ამ საკითხს სამხედროზე მეტად პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და მისი განხილვაც სამხედრო საბჭოს კომპეტენციაში არ შედიოდა, ამიტომ მოხსენება წარუდგინეს მთავრობას, რეკომენდაციის სახით კი დაურთეს წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ცალკე გუნდების შედგენა ხელს უშლის ჯარების ორგანიზაციას“ [24]. როგორც ჩანს, სამხედრო საბჭო ირიბად, თუმცა მაინც მიანიშნებდა, რომ აფხაზური სამხედრო დივიზიონის შექმნა არმიის ბრძოლისუნარიანობას საგრძნობლად შეამცირებდა და გამოიწვევდა სამხედრო შენაერთებს შორის კოორდინაციის მოშლას. სხვადასხვა პერიოდში სამხედრო საბჭოს უწევდა სამხედრო შესყიდვების საკითხზეც მუშაობა. ოქმი N23-ის მიხედვით ჩანს, რომ ქართული მხარე იტალიაში აპირებდა საარტილერიო და საინჟინრო საშუალებების შეძენას, რომელთა სიებიც დამტკიცდა მცირეოდენი შესწორებით სხდომაზე და ამ ტექნიკის შეძენა დაევალა არსენალის უფროსს, პოლკოვნიკ გედევანიშვილს. კრების რეკომენდაციით, ქონების შეძენის დროს ყურადღება უნდა მიეპყროთ, როგორ იმუშავებდა ეს ტექნიკა ქართულ პირობებში, ხოლო, რაც შეეხება ზარბაზნების საკითხს, სასურველი იქნებოდა, თუ შეიძენდნენ ახალს[25]. სამხედრო შესყიდვებს ეხება ასევე ოქმი N24, რომელიც თარიღდება 1919 წლის 22 სექტემბრით. სხდომაზე მოისმინეს გერმანიაში რადიო-ტელეგრაფის შეძენის შესახებაც. ამ საქმის მოგვარება დაევალა საინჟინრო-ტექნიკური ნაწილის უფროსს, რომელიც უნდა გაეგზავნათ გერმანიაში 60 000 მანეთის ღირებულების რადიო-ტექნიკის შესაძენად[26].

როგორც ითქვა, სამხედრო საბჭოს საქმიანობა მრავალფეროვანი იყო და უამრავ საკითხს მოიცავდა, მათ შორის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. სამხედრო საბჭოს ოქმებში ვხვდებით არაერთ მოხსენებას, რომლებიც მთავრობაში იგზავნებოდა. 1918-1921 წლებში ქართულ არმიაში რომ მძიმე ვითარება იყო, ამაზე წერს ისტორიკოსი დიმიტრი სილაქაძე თავის ერთ-ერთ სტატიაში და ასახელებს იმ ძირითადად პრობლემებს, რომლებიც არსებობდა ქართულ ჯარში. „ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო ჯარში არსებული უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა. ჯარისკაცებს მოუწყობელ ყაზარმებში ამყოფებდნენ, რომელთა ნაწილი ზამთარში

[23] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 13, ფურც.1-2.
[24] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 25, ფურც.1-2.
[25] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 23, ფურც.1-2.
[26] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 24, ფურც.1-2.

თითქმის არ თბებოდა. შენობებში არ არის არც ნარები და არც - საწოლები, ხოლო ჯარისკაცები პირდაპირ იატაკზე დაყრილ თივაზე წვანან“[27].

ოქმ N26-ში ხაზგასმულია, რომ სამხედრო საბჭო სამხედრო შენობების შესაკეთებლად 8 660 000 მილიონ მანეთს ითხოვდა მთავრობისგან[28]. გარდა ინფრასტრუქტურისა, სამხედრო საბჭო განიხილავდა სამეურნეო საკითხებსაც, მაგალითად არმიისთვის საბნების, ბალიშებისა და ლეიბისპირების შესყიდვას. ოქმი N27-ის მე-4 და მე-5 პუნქტები სწორედ ამ საკითხს ეხებოდა, ამიტომ სამხედრო საბჭო ადგენდა: „შეკვეთილ იქნას ადელხანოვის საზოგადოებასთან 5 000 ცალი მომცრო ზომის საბანი, დამზადებული საბნების შემოწმება დაევალოს ტფილისის საინტენდანტო მიმღებ კომისიას“. საბნების შესაძენად საჭირო იყო 925 000 მანეთი[29].

ამავე შეხვედრაზე დაისვა საკითხი ლეიბებისა და ბალიშისპირების შეკერვის ფასების მომატების თაობაზე. საბჭომ დაადგინა, რომ ქალთა მშრომელი რაზმისა და „მკერვალთა პროფესიონალური კავშირისთვის“ გადაეცათ ლეიბისპირის შეკერვაში ნაცვლად 3 მანეთისა 7 მანეთი და 90 კაპიკი, ხოლო ბალიშისპირის შეკერვაში 40 კაპიკის ნაცვლად 3 მანეთი და 85 კაპიკი[30].

მსგავს საკითხს ეხება ოქმის მე-9 საკითხი, მასში აღნიშნულია, რომ პოლკოვნიკ გურამიშვილს დაევალოს რკინის საწოლებისა და პატარა კარადების შესყიდვა ჯარისა და გვარდიისთვის. პოლკ. გურამიშვილს ასევე დაევალა მოემზადებინა ხარჯთაღრიცხვა ზემოხსენებულ შენაძენზე[31].

ამავე შეხვედრაზე დაისვა საკითხი ინგუშეთიდან 100 ცხენის ყიდვასთან დაკავშირებით. სამნეო კომიტეტს დაევალა შეედგინა კომისია, რომელიც ცხენებს შეამოწმებდა, ამ ცხენების 2/3 უნდა გადასცემოდა ჯარს და 1/3 - სახალხო გვარდიას. ცხენების შესაძენად თანხა უნდა გამოეყოთ სამხედრო ფონდიდან[32].

შეხვედრებზე განიხილებოდა სხვა საკითხებიც, მაგალითად სამხედრო კორპუსების აშენება-შეკეთების საქმეები. 1920 წლისთვის ამ მიმართულებით გამოიყო 37 500 000 მანეთი, ასევე საბჭომ სამნეო კომიტეტისგან მოითხოვა დამატებით 17 500 000 მანეთი. სოციალური პოლიტიკის გამოვლინება იყო 1920 წლის იანვარში შტატგარეშე

---

[27] დიმიტრი სილაქაძე, „დეზერტირობის პრობლემა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წ.წ) რეგულარულ არმიაში“; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, თბილისი, 2011წ., გვ. 387.

[28] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 26.

[29] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 27, ფურც.1-2.

[30] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 27, ფურც.1-2.

[31]ფსცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 27, ფურც.1-2.

[32] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 27, ფურც.1-2.

დარჩენილ მოსამსახურეთათვის დროებითი ანაზღაურების დანიშვნა, მისი აღსრულება სამნეო კომიტეტს დაევალა.

როგორც ცნობილია, 1920 წლის ზამთარში გორში საკმაოდ მძლავრი მიწისძვრა მოხდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა ადგილობრივ მოსახლეობას. მიწისძვრის დროს დაზიანდა სახალხო გვარდიის კუთვნილი შენობებიც. ეს საკითხი 1920 წლის მარტში სამხედრო საბჭოს სხდომაზეც დაისვა და დაინიშნა გენ. ქუთათელაძის, პოლკ. გურამიშვილისა და სახალხო გვარდიის შტაბის წარმომადგენლისგან შემდგარი კომისია; მათ შენობების შემოწმება-შესწავლა დაევალათ, რათა შემდგომ დასკვნა წარედგინათ სამხედრო მინისტრისთვის.

1919 წლის შემოდგომით სამხედრო საბჭოს სხდომაზე დაისვა ქვემო ქართლის საკითხი, კერძოდ, სამხედრო საბჭომ ახბულახში განლაგებულ ქართულ სამხედრო ნაწილებზე იმსჯელა. 1919 წლის 13 ოქტომბრის შეხვედრაზე ორი ძირითადი საკითხი განიხილეს: პირველი ეხებოდა მე-3 საარტილერიო დივიზიონს, რომელსაც როგორც ცოცხალი ძალის მხრივ, ისე მომარაგებაში პრობლემები ჰქონდა; საბჭომ დაადგინა, გენერალურ შტაბსა და სამნეო კომიტეტს დავალებოდა ამ საარტილერიო დივიზიონის დახმარება ცხენებითა და ცოცხალი ძალით, ხოლო მეორე საკითხი ეხებოდა ახბულახს. გენერალმა ოდიშელიძემ წარმოადგინა მოხსენება, რომლის მიხედვითაც ახბულახში (თეთრიწყაროს რაიონი) უნდა გაეგზავნათ ერთი ცხენოსანი პოლკი. ეს პოლკი დაბინავდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოყოფილ შენობაში.

გარდა ამისა, ვინაიდან თბილისი-ახბულახის დამაკავშირებელი საგზაო მონაკვეთი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო და ამასთანავე საჭიროებდა შეკეთებას, სამხედრო საბჭომ წინადადებით მიმართა საგზაო სამინისტროს ყურადღება მიექცია გზის ამ ნაწილისთვის[33].

საინტერესოა ასევე 1919 წლის 16 ოქტომბრის შეხვედრა და ოქმი N32, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ არმია განიცდიდა ინტელექტუალური რესურსის ნაკლებობას: „შემჩნეულია რომ ჯარში თითქმის სრულიად არ იმყოფებიან ინტელიგენტები და მათი ყოფნა კი ჯარში დიდად საჭიროა, სამხედრო საბჭომ დაადგინა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებიდან და უმაღლეს სასწავლებლებიდან დაუყოვნებლივ გაწვეულ(?) იქნან ჯარში და გადანაწილებული, თუ ფიზიკური ზიანი არ ექნათ“. დადგენილების ბოლო ნაწილში მიმართვაა მთავრობისადმი: „ეთხოვოს მთავრობას, აიძულოს დაწესებულებათა უფროსები, რათა მათ მოხელეთა გამწესების დროს მოსთხოვონ უკანასკნელთ საბუთი სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლებისა, ურომლისოთ სამსახურში მიღება აკრძალული იყოს“[34]. საყურადღებოა ასევე კანონი

[33] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 31 ფურც.1-2
[34] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 32 ფურც.1-2

დეზერტირობის შესახებ, რომლის მიხედვითაც სამხედრო საბჭომ მთავრობისთვის შეიმუშავა გეგმა. ამ გეგმის თანახმად, დეზერტირობაში შემჩნეულ ჯარისკაცებსა და მათ ოჯახებს აღარ მისცემდნენ ან ჩამოართმევდნენ სახელმწიფოსგან გადაცემულ მიწის ნაკვეთებს[35]. დიმიტრი სილაქაძის სტატიის მიხედვით, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის შექმნის პროცესში დეზერტირობა დიდ სირთულეს ქმნიდა. საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წელს გამოცემული დეკრეტით ვიგებთ, რომ ნაწილის დღე-ღამეზე მეტით მიტოვება როგორც მშვიდობიანობის, ისე საომარი მდგომარეობის დროს ან დაგვიანება არასაპატიო მიზეზით სამხედრო სამსახურიდან გაქცევად ითვლებოდა[36]. რაც შეეხება მიზეზებს, თუ რატომ ტოვებდნენ არმიას სამხედროები, ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ. დეზერტირობის კუთხით საინტერესოა ოქმი N29, რადგან გაგრის ფრონტიდან გაპარული დეზერტირების უკანდაბრუნებას განიხილავს[37]. ჯარში დეზერტირობის აღმკვეთ ზომებს ეხება ოქმი N64, რომელიც 1920 წლის 26 თებერვლით თარიღდება. საბჭო ითხოვს აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა გამოცხადდეს „სავალდებულო დადგენილების“ სახით მოხსენებაში გათვალისწინებული ზომები (იხ. ზემოთ); ამასთან სამხედრო საბჭომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ დეზერტირობის წინააღმდეგ დამტკიცებული კანონი აქამდე არ მოქმედებდა. ამავე სხდომაზე დაისვა საკითხი სოხუმში თავდაცვითი კომიტეტის დაარსებისა და 1000 ახალგაწვეული ჯარისკაცის გვარდიისთვის გადაცემის შესახებ. წარმოდგენილი წინადადებით, 1000 ჯარისკაცი გადავიდოდა გვარდიის რიგებში, თუ ისინი აღმოჩნდებოდნენ ჯარისთვის ზედმეტი.

ამავე შეხვედრაზე დადგა საკითხი აზერბაიჯანს გადასცემოდა ოთხი საცხენოსნო მსუბუქი ზარბაზანი ძველი პირობისამებრ[38], ხოლო გორის სამაზრო ერობას - 10.000 ვაზნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის, საარტილერიო სექციის უფროსის თანდასწრებით კი გამართულიყო თათბირი, რომელზედაც გაირკვეოდა ვაზნების საჭიროების საკითხი[39].

1919 წლის 28 ნოემბრის შეხვედრაზე დაისვა გაგრის ფრონტის საკითხი. იმისთვის რომ გაეძლიერებინათ უსაფრთხოების ზომები ამ მიმართულებით, სამხედრო საბჭომ

---

[35] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 37 ფურც.1-2

[36] დიმიტრი სილაქაძე, დეზერტირობის პრობლემა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921წ.წ) რეგულარულ არმიაში . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები II,თბილისი 2011წ. გვ.385

[37] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 29, ფურც.1-2.

[38] 1919 წლის 16 ივნისს დაიდო სამხედრო თავდაცვითი ხელშეკრულება აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო აგრესიის შემთხვევაში ერთობლივი ძალებით დაიცავდნენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას.

[39] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 29, ფურც.1-2.

მიიღო გადაწყვეტილება 400-ის ნაცვლად გაგრის ფრონტზე დარჩეს 2000 ხიშტი, „მეორე რაზმი მთელი თავისი შემადგენლობით, გარდა ახალგაწვეულთა და მათ ინსტრუქტორთა, სოხუმიდან გადავიდეს გაგრაში“. გარდა ამისა, გაგრის ფრონტზე გაიგზავნონ ის დეზერტირები, რომლებიც დაიბადნენ 1897 და 1898 წლებში. ამასთანავე, პირველი ბრიგადის მეთაური ართმელაძე თავისი ბრიგადის სამმართველოთი გაიგზავნა გაგრაში მდგარი ჯარების მეთაურად, ხოლო ახალწვეულთა მომზადება ქუთაისში, ფოთსა და ოზურგეთში დაეკისრა ართმელაძის ნაცვლად მის თანაშემწე პოლკოვნიკ ციციშვილს[40].

1919 წლის დეკემბერში გაგრის მიმართულებით სერიოზულად დაიძაბა სიტუაცია და სამხედრო საბჭოს 4 დეკემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ ზღვით გადაადგილება გაგრისკენ უკვე სახიფათო ხდება, რის გამოც, შესაძლოა, აჯანყებულთა მიერ ბლოკადის გამოცხადების შემთხვევაში ჯარი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს, ამიტომ სამხედრო საბჭომ დაადგინა:

1. „მიექცეს მეტი ყურადღება გზატკეცილს ხეთიდან სოხუმამდე და სოხუმიდან გაგრამდე და სასწრაფოდ შეკეთდეს, თუ არის ამის საჭიროება.
2. მოეწყოს სურსათის გადასაზიდად ხეთიდან საბარგო ავტომობილების მიმოსვლა და ამ ზომის გასატარებლად დაუყოვნებლივ მიეცეს ავტო გუნდის უფროსს 50 კასრი ბენზინი და 20 კასრი ზეთი და სხვა საჭირო საშუალებები“. გარდა ამისა, სამხედრო საბჭომ მიიღო დადგენილება გაზრდილიყო სატრანსპორტო საშუალებების რიცხვი ხეთა-გაგრის მიმართულებით და შექმნილიყო ბენზინის მარაგი[41]. 1919 წლის 8 დეკემბრის შეხვედრაზე კვლავ დაისვა გაგრის საკითხი და გაიცა განკარგულება, რომ ყურადღება მიექცეს სოხუმის ოლქში სურსათის დამზადებას, რადგან ზღვით მიმოსვლა სახიფათოა, ხოლო ზუგდიდის რაიონი კრიზისულ მდგომარეობაშია. საბჭოზევე დადგინდა შექმნილიყო სოხუმსა და ფოთში ხორცის კონსერვების მარაგი, რათა ჯარს სურსათის (მომარაგებაში) პრობლემები არ შექმნოდა[42]. 1920 წლის ოქტომბრისთვის გაგრის ფრონტის საკითხი ხელახლა დაისვა სამხედრო საბჭოს სხდომაზე. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სახალხო გვარდიას მიეცა მითითება დაეტოვებინა 400 ხიშტი ფრონტზე, ამასთანავე გაგზავნილიყო ოზურგეთიდან დამატებითი ძალები[43].

ოქმ N35-ში ასახულია 1919 წლის 27 ოქტომბრის შეხვედრა. ამ შეხვედრაზე ჯარის ტერიტორიული სისტემით შევსების საკითხი დაისვა. საკითხის შესწავლა და

[40] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 43, ფურც.1-2.
[41] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 45, ფურც.1-2.
[42] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 46, ფურც.1-2.
[43] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 33, ფურც.1-2.

შემუშავება დაევალა გენერალ ქუთათელაძეს. ამავე სხდომაზე დაასახლეს სამხედრო საბჭოს კანდიდატების ვინაობაც, კანდიდატებს შორის იყვნენ: გენერალი კვინიტაძე, გენერალი გედევანიშვილი და გენერალი არჯევანიძე[44].

საინტერესოა 1919 წლის 14 ნოემბრის შეხვედრაც, რომელზეც შემდეგი საკითხები დაისვა: 1. სამხედრო საბჭოზე წარმოადგინეს სამხედრო ფორმის ნიმუშები, წარმოდგენილი ფორმის პროექტი დაამტკიცა სამხედრო საბჭომ და შემოიღო არმიაში; 2. ქუდის ფორმის შესახებ - სამხედრო საბჭომ ზაფხულის ქუდის ფორმის პროექტი მოიწონა და შემოიღო ჯარში, რაც შეეხება ზამთრის ქუდს, დარჩა ძველი/თუშური ქუდი და ბოხოხი;

3. ახალი ფორმის მიხედვით, ოფიცერთა ტანსაცმლის გადასაკეთებლად დახმარებისთვის მთავრობაში წარადგინეს მოხსენება შუამდგომლობით: გაეწიოს ჯარის და გვარდიის ოფიცრებსა და მოხელეებს ტანსაცმლის გადასაკეთებლად ერთდროული დახმარება და მიეცეს თითო ამ საგნისთვის 2000 მან. სმეტის(ხარჯთაღრიცხვის) ზედმეტი კრედიტიდან.

4. ჯამაგირის მომატებაზე - ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო 1919 წლის 10 ნოემბერს[45]. სამხედრო საბჭომ მხედველობაში მიიღო, რომ ჯარი ყველაზე მეტად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მატერიალურად „მრავალ საპატიო“ მიზეზთა გამო; დაადგინა ანაზღაურების მომატება. ახალი ხარჯთაღრიცხვისა და დეტალური გეგმის შემუშავება მიანდეს კომისიას, რომელშიც იყვნენ გენ. ქუთათელაძე, სილ.ჯიბლაძე და სამნეო კომიტეტის წარმომადგენელი. წარმოდგენილი პროექტი განიხილეს 14 ნოემბერს და მიიღეს დადგენილება:

1. დაენიშნოს ზემდეგ მსახურს 1000 მანეთი;

2. უფროს ნაცვალს - 800 მანეთი;

3. ვადით მსახურ ზემდეგს - 200;

4. უფროს ნაცვალს - 170;

5. უმცროს ნაცვალს - 140;

6. თავმდეგს - 120;

7. რიგით ჯარისკაცს - 100 მანეთი[46].

ამავე სხდომაზე გადაწყდა „ლუისის“ ტიპის ვაზნებისა და ჰაუბიცის ყუმბარების შეძენის საკითხი. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება: „ვაზნებისა და ჰაუბიცის

[44] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 34, ფურც.1-2.
[45] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 39, ფურც.1-2.
[46] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 40 ფურც.1-2.

ყუმბარების შეძენა პრინციპულად მოწონებულ იქნას და მიეცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ამ საქმისთვის ვაზნების საყიდლად გადადებული ორი მილიონიდან ერთი მილიონი მანეთი“[47].

სამხედრო საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა სამხედრო განათლების საკითხებიც. დოკუმენტებში, ძირითადად, საუბარია სამხედრო სკოლისთვის გადასაცემი შენობის შესახებ და სკოლის პერსონალისთვის ანაზღაურების მომატებაზე, თუმცა ოქმი N52 ეხება უფროს სანიტართა მოსამზადებელი კურსების გახსნის საჭიროებას. საბჭომ დაადგინა, რომ გაიხსნას 3-თვიანი დროებითი კურსები უფროს სანიტართათვის თბილისსა და ქუთაისში. ამ კურსზე თავდაპირველად თბილისიდან - 52, ხოლო ქუთაისიდან 35 ადამიანი უნდა მომზადდეს. კურსის ჩატარება სახელმწიფოს უჯდებოდა 19 000 მანეთი, ეს თანხა სასანიტარო სექციის ხარჯებიდან გამოიყო[48]. სხდომაზე ასევე დაისვა საზღვაო გუნდისა და საზღვაო სკოლის დაარსების საკითხიც, ისინი სამხედრო ფლოტილიის სამმართველოსთან უნდა გაეხსნათ[49]. როგორც აღვნიშნეთ, საბჭო, სამხედრო საკითხების გარდა, განიხილავდა სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხს, მაგალითად დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის კომპენსაციის მიცემას, სურსათით დახმარებას და სხვ. 1920 წლის 8 მარტის სხდომის ოქმში ვკითხულობთ, რომ 1918-1921 წლებში არსებობდა „ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოება“, რომელიც მთავრობისგან 10 მილიონ ბონს ითხოვდა, რათა ყოფილ ოფიცერთა მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. 1918-1921 წლების ქართულ არმიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა კულტურულ მუშაობას. 1920 წლის ქართულ პრესაში ვკითხულობთ, რომ ქუთაისში მოეწყო „ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, აუდიტორია და კათედრა“. სტატიაში აღნიშნულია, რომ მსგავსი რამ იგეგმება ოზურგეთში, ფოთში, სოხუმსა და გორში, ხოლო ახალციხისა და ფოთის სანაპირო ჯარებში არსებობდა სამხედროთათვის სამკითხველო დარბაზები, სადაც შეეძლოთ ეკითხათ როგორც ჟურნალ-გაზეთები, ისე სხვადასხვა სახის ლიტერატურა[50]. ამ თემაზე სამხედრო საბჭოს ოქმებში არაერთი დადგენილებაა, მაგალითად ოქმი N54-დან ვიგებთ, რომ ამ მიმართულებით 1920 წლის იანვარში დაიხარჯა 110 000 მანეთი სამხედრო ფონდიდან[51], ხოლო 1920 წლის თებერვალში - 100 000 მანეთი[52].

სამხედრო საბჭოს ეროვნულ არქივში დაცული რიგით 73-ე და 74-ე ოქმები უკანასკნელი დოკუმენტებია , რომლებიც ასახავს სამხედრო საბჭოს მუშაობას და

[47] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 40 ფურც.1-2.
[48] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 52 ფურც.1-2.
[49] სცსა, ფონდი 2037,აღწერა1, საქმე 55 ფურც.1-2.
[50] ჟურნალი „მხედარი“, N1,1920წ., გვ. 12.
[51] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 54, ფურც.1-2.
[52] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 60, ფურც.1-2.

თარიღდება 1920 წლის 5 აპრილითა და 1920 წლის 13 აპრილით. სხდომამ განიხილა დროებითი სადარაჯო ჯიხურების ახალი პროექტი, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჰორიზონტალურ ფერებში შესრულებული[53]. 74-ე სხდომაზე განიხილეს ასევე ჯარისა და სამხედრო სკოლისთვის სავარჯიშო მინდვრის გამოყოფის საკითხიც. დოკუმენტში ხაზგასმით იყო აღნიშნული შემდეგი: ვინაიდან ჯარის გაწვრთნა და საომრად მომზადება უმთავრესი პირობაა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, წესიერად მომზადება კი შესაძლებელია საგანგებოდ მოწყობილ სავარჯიშო მინდორზე, კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადება მოწონებულ იქნეს და ემცნოს მიწათმოქმედების მინისტრს სამხედრო საბჭოს სურვილი სოფ. მუხროვანში სავარჯიშო მინდვრის მოწყობისა, მასთან განემარტოს მიწათმოქმედების მინისტრს, რომ ამ მინდორზე შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივად ხვნა-თესვის წარმოება და თივის შეგროვება სამხედრო საბჭომ სამხედრო სკოლისა და ნაცვალთა ათასეულისთვის საველე პოლიგონის მოწყობის საქმე გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილს მიანდო და დაავალა ასევე გამოეკვლია, თუ რა შენობების შეკეთება იქნებოდა საჭირო ბანაკის მოსაწყობად[54].

როგორც დავრწმუნდით, სამხედრო საბჭო ითავსებდა როგორც სამხედრო, ისე სოციალურ საკითხებს, ამასთანავე ზრუნავდა არმიის განვითარებასა და მისადმი ნდობის ამაღლებაზე. ეს იყო უწყება, რომელიც, გარდა ეროვნული უსაფრთხოების თემებზე მუშაობისა, ერთგვარად შუამავლის როლს ასრულებდა უწყებებს შორის. ჩვენ ვიხილეთ საბჭოს კოორდინირებული მოქმედებები მიწათმოქმედების სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და სხვა უწყებებთან.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჯარი და სახალხო გვარდია იყო ის ძირითადი მიმართულება, რომელზეც აქცენტს აკეთებდა სამხედრო საბჭო და მისი არსებობის მოკლე პერიოდში წარმატებით ართმევდა მისადმი დაკისრებულ მოვალეობას.

[53] სცსა, ფონდი 2037, აღწერა1, საქმე 73, ფურც.1-2.
[54] სცსა, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 74, ფურც.1-2.